ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილის #10/18529 პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მ/წ 21 ოქტომბერს 3 საათზე, ნაძალადევის რაიონის თემქის სამაჟორიტარო ოფისში შედგება, ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენა ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი : 3 ფურცელი

პატივისცემით,

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშია.

№10/18529 20.10.15წ

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება

ფურცლის რაოდენობა 4 ფურცელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ჯაბა სამუშიას 2015 წლის ანგარიში

(1 იანვრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით)

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 44-ე, 45-ე და 47-ე მუხლების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიუტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" მე-12 და მე-13 მუხლების თანახმად, გაცნობებთ შემდეგს

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში

მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომა - 25 სხდომა

ქალაქ თბილისის საკრებულოს ბიურის სხდომა - 39 სხდომა

საკრებულოს ბიუროსა და სხდომებზე განხილული საკითხები _ 481 საკითხიდან

ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიაზე განხილული საკითხები, რომლებზედაც გაკეთებულია კომისიის დასკვნა 284 .

განხილული საკითხებიდან მიღებული იქნა _ 101 დადგენილება და 380 განკარგულება.

საკრებულოს სხდომების გარდა მონაწილეობა მივიღე შემდეგ აქტივობებში:

1.ფრაქცია ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოსათვის" - 16 სხდომა

2. სახელდებისა და სიმბოლოკის კომისიია - 7 სხდომა, შესწავლილია 67 საკითხი

3. ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 42 სხდომა

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია - 4 სხდომა.

ქონების მართვის და საფიანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომებზე განხილული საკითხები _ 284 საკითხი

- მ.შ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების შესაბამისად, რომელიც მხოლოდ ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პრეროგატივაა _ 35 საკითხი
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის #18-57 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ" საკრებულოს პროექტი - 4 პროექტი
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის #18-57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებში პროექტების შეთანხმება.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების შესახებ - (3 თვე, 6 თვე)
- მ.შ.ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები მერიის სამსახურებისა და თბილისის რაიონული გამგეობების მიერ სხვადასხვა სამუშაოებთან დაკავშირებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვების განხორციელების თაობაზე- 49 საკითხი
- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესი".
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის, ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების და თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესებში ცვლილებების შესახებ.
- სხვადასხვა კომპანიებსა და ფიზიკურ პირებზე პირდაპირი განკარგვის წესით მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემაზე თანხმობის შესახებ.
- ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო უძრავი და მოძრავი ქონებების გეგმის და ნუსხის დამტკიცების შესახებ _ 8 ნუსხა.
- თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ების კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით.
- თბილისის მერიასა და სხვადასხვა კომპანიებს შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებში ცვლილებების შეტანასთან ან პირობების გაუქმებასთან დაკავშირებით საკითხები.

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის შესახებ.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტრეტის გამგეობების სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების შესახებ.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების საშტატო ნუსხების დამტკიცების შესახებ.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო „ფონდ ქართუს" შორის გასაფორმებელ „გრანტის შესახებ" ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე და სხვა პროექტები.

ამომრჩეველთა მიღების , მათი წერილების, წინადადებებისა

და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- 1330 მოქალაქესთან შეხვედრა სამაჟორიტარო ბიუროსა და საკრებულოში.
- 501 საკრებულოსა და სამაჟორიტარო ბიუროში შემოსული მოქალაქეთა განცხადება, რაზედაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში მოხდა რეაგირება.
- 800- მდე მოქალაქეს გაეწია სამართლებრივი კონსულტაციები.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელწიფო

და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- თბილისში 13 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შექმნილი საგანგებო შტაბის წევრი.
- მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურში შექმნილ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა, სოციალურად დაუცველი და თბილისში რეგისტრირებული სხვა ოჯახებისათვის კომუნალური სუბსიდიის დარიცხვისა და გაცემის წესში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.
- თბილისის საკრებულოს სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა პოლონეთის საელჩოსთან ერთად, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის მარშალ იუზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ.
- მონაწილეობა სხვადასხვა სამთავრობო და მეცნიერულ კამათებში.

საკრებულოს წევრი ჯაბა სამუშია